№ 211
პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1899 წ.

1877—1899

№ 211
პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1899 წ.

# ივერია

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**ბაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას 3 ოქტომბერს.

---

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

გაიხსნა ქალაქ ფოთში

## „საბუღალტერო კურსები“

კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლითა და ორის თვით იქმნება და **ეღირება ასი მანეთი**.

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

**კურსებზედ ასწავლიან:**

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუღალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორრესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

**პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გავუგზავნით პირველ მოთხოვნისათანავე.**

(10—1) კურსების გამგე კ. მ. გიგინეიშვილი

---

**ამიერ-კავკასიის რკინის გზა აცხადებს** საზოგადოების საცნობლად, რომ 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს 1899 წელს **მცხეთის დღესასწაულზედ წამსვლელთათვის** ივლის მატარებლები ტფილისიდგან მცხეთამდე და მცხეთიდგან ტფილისამდე შემდეგ საათებში:

### 30 სექტემბერს

| ტფილისიდგან გავა | | | | მცხეთიდგან გამოვა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მატ. | № 537 | ნაშუად. | 4 ს. 10 წ. | მატ. | № 538 | ნაშუად. | 5 ს. 10 წ. |
| „ | № 17 | „ | 5 — 15 „ | „ | № 18 | სალამ. | 6 — 52 „ |
| | | | | „ | № 8 | „ | 9 — 25 „ |

### 1 ოქტომბერს

| ტფილისიდგან გავა | | | | მცხეთიდგან გამოვა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მატ. | № 531 | დილის | 7 ს. 40 წ. | მატ. | № 6 | დილის | 6 ს. 54 წ. |
| „ | № 15 | „ | 8 — 10 „ | „ | № 16 | „ | 10 — 8 „ |
| „ | № 7 | „ | 10 — 15 „ | „ | № 532 | „ | 11 — 00 „ |
| „ | № 533 | „ | 11 — 45 „ | „ | № 534 | „ | 12 — 50 „ |
| „ | № 535 | ნაშუად. | 1 — 40 „ | „ | № 536 | ნაშუად. | 3 — 20 „ |
| „ | № 5 | „ | 2 — 40 „ | „ | № 538 | „ | 5 — 10 „ |
| „ | № 537 | „ | 4 — 10 „ | „ | № 18 | სალამოს | 6 — 53 „ |
| „ | № 17 | „ | 5 — 15 „ | „ | № 8 | „ | 9 — 25 „ |
| „ | № 539 | სალამოს | 8 — 15 „ | „ | № 540 | „ | 10 — 30 „ |

ბილეთი ეღირება: ტფილისიდგან მცხეთამდე უკან დაბრუნებით 1 კლას.—1 მანეთი, II კლ.—60 კაპ., III კლ.—40 კაპ. ხოლო მარტო ტფილისიდგან მცხეთამდე, ან მცხეთიდგან ტფილისამდე 1 კლ.—55 კ., II კლ.—33 კაპ., III კლ.—22 კაპ. (3—6.—3)

---

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა აცხადებს**, რომ ქუთაისის მახლობლად მდებარე **მოწამეთის მონასტრის დღესასწაულის გამო** 1-სა და 2 ოქტომბერს ამა 1899 წელს ივლიან მატარებლები შემდეგის რიგით:

1 ოქტომბერს

მატარებელი № 390 ქუთაისიდგან გავა სალამოს 6 საათ. და 10 წუთს., მატ. № 31 გელათიდგან გავა სალამოს 7 ს. და 10 წ.

2 ოქტომბერს

მატ. № 400 ქუთაისიდგან გავა დილ. 6 ს. 05 წ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ | № 402 | „ | „ „ | 8—45 |
| „ | № 404 | „ | „ „ | 10—45 |
| „ | № 406 | „ | „ ნაშუად. | 12—50 |
| „ | № 408 | „ | „ „ | 3— „ |
| „ | № 410 | „ | „ სალამოს | 6—10 |
| „ | № 412 | „ | „ „ | 8—10 |
| „ | № 401 | გელ. | გავა დილის | 7—40 |
| „ | № 403 | „ | „ „ | 9—40 |
| „ | № 405 | „ | „ „ | 11—40 |
| „ | № 407 | „ | „ ნაშუად. | 1—50 |
| „ | № 409 | „ | „ „ | 5—05 |
| „ | № 411 | „ | „ სალამოს | 7—10 |
| „ | № 413 | „ | „ „ | 9—15 |

ბილეთები როგორც მონასტერში წასასვლელად, აგრეთვე იქიდგან დასაბრუნებლად იყიდება ქუთაისის სადგურზედ. ღირს I კლასის ბილეთი იქითა და აქეთ—35 კაპ., II კლ.—20 კაპ. და III კლ.—15 კაპ. (3—6.—3)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობსით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. ბძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**სალამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულიებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**სალამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

---

კვირას, 3 ოქტომბერს, სალამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## „შუამავალი“-ს

ამხანაგობის საგანგებო საზოგადო კრების განგრძობა.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (2—6.—1)

---

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: თავისუფალი მკურნალი ქორქაშვილი ქუთაისის საავადმყოფოს უმცროსს მკურნალად. ტფილისის სამოსამართლო პალატის გამოძიების საქმეთა საკრებულოს კანცელარიის მოსამსახურე ალექსანდრე ცისკარაშვილი დუშეთის მაზრის პოლიციის სამმართველოს თარჯიმანად.

დათხოვნილ იქმნენ: სამსახურიდგან სენაკის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი ქავთარაძე თავისისავე თხოვნის თანახმად; ახალქალაქის მაზრის პოლიციის სამმართველოს საქმეთა მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკოლოზ ჯავახიშვილი და რეგისტრატორი (იგივე არხივარიუსი) დუარსაბ მაღრაძე.

## ახალი ამბავი

*** დღეს, სვეტი-ცხოვლის დღესასწაულის გამო, მცხეთაში ტფილისიდგან მრავალი ხალხი აპირობს წასვლას. რკინის გზის გამგეობამ ამ დღისთვის განსაკუთრებული მატარებლები დანიშნა ტფილისსა და მცხეთას შუა. ტფილისიდგან გავა დღეს ცხრა მატარებელი შემდეგ საათებში: დილით: 7 ს. 40 წუთს, 8 ს.—10 წ., 10 ს.—15 წ., 11 ს.—45 წ., ნაშუადღევს: 1 ს.—40 წ., 2 ს.—40 წ., 4 ს.—10 წ., 5 ს.—15 წ., სალამოთი 8 ს.—15. მცხეთიდგანაც აგრეთვე ცხრა მატარებელი გამოდის დილით: 6 ს.—54 წ., 10 ს.—8 წ., 11 საათ., ნაშუადღევს: 12 ს.—50 წ., 3 ს.—20 წ., 5 ს.—10 წ., სალამოთი: 6 ს.—53 წ., 9 ს.—25 წ., 10 ს.—30 წ.

*** 29 სექტემბერს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა დ. ტ. ს. ა. ს. ერმოლოვმა დაათვალიერა, სხვათა შორის, სააბრეშუმო სადგური, ტფილისის საბაღოსნო სკოლა, სამთო სამმართველო, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველო და სხვა.

სალამოს მინისტრი სახაზინო თეატრში ოპერას „დემონს“ დაესწრო.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს მთავრობის-მიერ დამტკიცებული წესები სოფლის მცხოვრებთათვის შესყიდვის ვალის გარდახდის გასაადვილებელ ღონისძიებათა შესახებ და ამასთან წინადადება მისცა, ზომები იხმარეთ, რათა ეს წესები შესრულებულ იქმნას ტფილისის გუბერნიაშიო.

*** 29 სექტემბერს ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, საჩქაროდ წარუდგინეთ ქალაქის საბჭოს განსახილველად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის აზრი ტფილისში ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების შესახებაო.

*** ქუთაისის საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქალაქს ნება დაერთოს აიღოს გრძელვადიან სესხად 50,000 მან. ქალაქის სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის.

*** როგორც ისმის, სათანადო დაწესებულებას მიწად-მოქმედების მინისტრისათვის წარსადგენად ცნობები შეუკრებია კავკასიის იმ ადგილების შესახებ, სადაც საჭიროა სამეურნეო სასწავლებელთა დაარსება.

*** შავის ზღვის პირის ბაღოსნობის მოღვაწეთა მოგზაურობის დროს დრანდის მონასტრის მახლობლად აგრონომს ნ. ნ. სპეშნევს აღმოუჩენია ბლეკროტით ძლიერ დაზიანებული „ადესის“ ყურძენი („იზაბელა“). ბლეკროტი აღმოუჩენია სპეშნევს სოხუმის საცდელ სამეურნეო სადგურიდგან მოტანილ მტევნებზედაც. სპეშნევმა ერთს სხდომაზედ ბაღოსნობის მოღვაწეთა კრებას მოახსენა თურმე, რომ ბლეკროტი 1897 წ. აღმოჩენილ იქმნა ბ. ნის იაჩევსკის-მიერ როგორც სოხუმში, ისე შავი ზღვის პირის სხვა ადგილებშიც. ბ-ნი სპეშნევი ამ ჟამად დაწვრილებით თურმე ათვალიერებს ყველა ვენახებს შავის ზღვის პირზედ. კრების წევრთ დაუდგენიათ სთხოვონ სპეშნევს გააცნოს მათ თვისი გამოკვლევის შედეგი.

*** ავლაბრისა და ნავთლუღის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილება მე-8 ნაწილიდგან ავლაბარში იქმნას გადატანილი. ამას გარდა იგინივე თხოულობენ, რომ დაარსდეს ავლაბარში პროგიმნაზია და გაიმართოს ცხენის-რკინის გზა.

*** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ, რომ პირდაპირი მიმოსვლა ტფილისსა და მოსკოვს შუა ბაქო-

დერბენდ-პეტროვსკის გზაზედ გაჰმართონ ნოემბრის გასულს, ან დეკემბერში.

⁂ ტფილისში, როგორც „კავკ." შეუტყვია, რამდენსამე კაცს წრე შეუდგენია და შეუმუშავებია „ტფილისის მსახურთა დასახმარებელ საზოგადოების" წესდების პროექტი. ამ ჟამად ეს პროექტი კავკასიის უმაღლეს მთავრობას ჰქონია წარდგენილი განსახილველად.

⁂ ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა მოხსენება პოლიციის შესანახ ხარჯისაგან ქალაქის განთავისუფლების შესახებ. როგორც ვუწყით, წელიწადში პოლიციის შესანახად იხარჯება 70,000 მანეთზედ მეტი. ეს ხარჯი ძალიან საგრძნობელია ქალაქისათვის. მოხსენებაში ქალაქის გამგეობას ნაჩვენები აქვს, რომ ქალაქის შემოსავალმა იკლო ტივების გარდასახადის მოსპობის გამო, რომ მიმდინარე ხარჯის შემცირება შეუძლებელი ჰხდება ქალაქის დაუზარალებლად, და რომ პირ-იქით ხარჯები უფრო და უფრო მატულობს სამკურნალო-სასანიტარო საჭიროებისა, ქუჩებ-მოედნების მოკირწყვლისა, ქალაქის განათებისა და წყლის მილებისათვის; ამიტომ გამგეობა საჭიროდა სცნობს დაევალოს ქალაქიი მოურავს შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ ქალაქი სრულიად განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის შესანახ ხარჯისაგან. ეს მოხსენება ახლო მომავალში საბჭოს წარედგინება განსახილველად.

⁂ დღეს, 1-ლ ოქტომბერს, გადის ის ვადა, რომელიც ქალაქის საბჭომ დანიშნა განცხადებათა წარსადგენად ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიის აღების შესახებ. „ტფ. ფ."-ის სიტყვით, დღემდე გამგეობას არც ერთი განცხადება არ მიუღია არც კერძო მწარმოებელთაგან და არც ფირმებისაგან, თუმცა, გარდა იმისა, რომ განცხადება კონცესიის შესახებ ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა, სატახტო ქალაქის და საზღვარ-გარეთის გაზეთებსაც დაურიგდათ, და ამასთან 30 საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ფირმებს დაეგზავნათ დაწვრილებითი პირობები და ცნობები კონცესიის შესახებ.

⁂ იმ კაცთ, რომელთაც განცხადება აქვთ წარდგენილი სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბისა და ჩათმის ნავთიან ადგილების დათმობის შესახებ, სთხოვეს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს, ნება გვიბოძეთ შევუდგეთ ნავთის წარმოებას ხსენებულ ადგილებშიო. ბ-ნმა მინისტრმა აღუთქვა იმათ, განვიხილავ თქვენს თხოვნებს, მაგრამ ამასთან დასძინა, რომ ამ ადგილების გაცემა კერძო კაცებზედ საძნელოა, რადგან ეს ადგილები ჩარიცხულია საზამთრო სანახირო ადგილების რიცხვშიო.

⁂ უწმ. სინოდმა განმარტა, რომ იმ ყმაწვილ-კაცთ, რომელთაც მეორე-კლასიან სამრევლო სკოლებში დაუმთავრებიათ სწავლა, ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად მხოლოდ შემოკლებული ეგზამენი უნდა გარდაიხადონ ისე, როგორც სასულიერო, საქალაქო და სამაზრო სასწავლებელთა კურს-დამთავრებულნი იხდიანო.

⁂ დიდი ლიახვის ხიდი, რომელიც ცხინვალის მახლობლად არის და მცხოვრებთა ხარჯითაა გაკეთებული, სულ ახლო ხანში დანგრევას ჰლამის, რადგან მის ქვის ბურჯს მარჯვენა ნაპირზედ წყალმა ძირი გამოუთხარა. გორის მაზრის უფროსს, „როგორც „კავკ."-ს აუწყებენ, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ხსენებული ხიდი მიღებულ იქმნას იმ ხიდების რიცხვში, რომლებსაც საერო ხარჯით ინახავენ, და შეკეთდეს საერო ხარჯითვე.

⁂ „პრიაზ. კრაი" იუწყება, რომ ამ ჟამად განზრახვა აქვთ საკომერციო სასწავლებლები დააარსონ, სხვათა შორის, ბაქოსა და ბათუმში.

⁂ „ახ. მ."-ს ატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის მოურავს უთხოვნია მიწად-მოქმედების მინისტრისათვის სოხუმში სამეურნეო სკოლის დაარსება, რისთვისაც ქალაქის მოურავს შესაძლებლად უცვნია იმ 50 დეს. ქალაქის ადგილის დათმობა, რომლითაც დღეს სოხუმის სამთო სკოლა სარგებლობს. როგორც იმავე გაზეთს სწერენ, ეს შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს არა ჰქონია განხილული.

⁂ ყარსის რკინის გზის გამგანი ბ-ნი კურცელი 28 სექტემბერს პეტერბურგს გაემგზავრა.

⁂ როგორც „ტფ. ფ."-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია დამტკიცოს ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქის ბაჟით სარგებლობისათვის დაწესდეს გარდასახადი სხვილ-ფეხ საქონელზედ ორ-ორი შაური, ხოლო წვრილ-ფეხ საქონელზედ-კი თითო შაური.

⁂ 29 სექტემბერს საქართველოს სამხედრო გზით პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვიდა და გუშინ-კი ბაქოში გაემგზავრა ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორი დ. ს. ს. ვ. ი. კოვალევსკი.

⁂ ყარსის რკინის გზაზედ 17 სექტემბერს დამტვრეულ მატარებლის ვაგონების ნამტვრევები, დაზიანებული ვაგონები და ორთქლმავალი ამ დღეებში ხსენებულ რკინის გზის სახელოსნოში მიჰზიდეს.

⁂ ქ. გორში 4 ნოემბრიდგან 16-მდე დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილების სესსია.

⁂ ნავთის მილების გაყვანა ხაშურსა და ბათუმს შუა თითქმის უკვე დაუმთავრებიათ. ხოლო მილების ყოველ მხრივ მოწყობას დამთავრება-კი განზრახულია ნოემბრისათვის.

⁂ ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში სოფ. კოკიანის მცხოვრები ისმაილ-ვალი-ოღლი და სოფ. კაზნის მცხოვრები აბას-ამირ-ოღლი დუმანის ტყეში თავს დასხმიან სოფ. დუმანის მცხოვრებთ ალექსი სიმონაშვილს და ბაგრატ სოსიაშვილს, რომელნიც საქონელს თურმე აძოვებდნენ, დაუჭრიათ ერთი მათგანი და გაურეკიათ 7 სული საქონელი. დამნაშავენი უკვე შეუპყრიათ და სასამართლოსათვის გარდაუციათ.

⁂ „ბოიარის ნომერთა" პატრონმა ბ-ნმა სხირტლაძემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მომეცით, რომ ჩემს სასტუმროს წინ ფარდული (პავილიონი) გავმართოვო. ფარდული დაიჭერს მთელ ქვაფენილს სასტუმროს წინ, რის გამო სხირტლაძეს განზრახვა აქვს ფარდულში გასავლელი გზა გააკეთოს.

⁂ 29 სექტემბერს სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბეს მცხოვრებელის ქვრივმა, მარიამ კოპლამაზაშვილმა გამოუცხადა პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაულს, რომ ჩემის შინ არ ყოფნის დროს ბოდბესავე მცხოვრებელმა გიორგი ბეგოშვილმა სკივრი გამიტეხა და წაიღო სხვა და სხვა თამასუქები 194 მან., კერძო ბარათი 70 მან., უძრავ მამულის ჩაბარების ფურცელი 50 მან., ტანისამოსი და საცვლები 100 მან. და სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები 412 მან. და გაიქცა. ჩემის აზრით, თავისს სოფელ ბოდბეში უნდა წასულიყოო. სიღნაღის მაზრის უფროსს მიეწერა, რომ გიორგი ბეგოშვილი დააპატიმროს, ხოლო ეს ამბავი ეცნობა მომრიგებელ სასამართლოს მეოთხე განყოფილების გამომძიებელს.

⁂ გოლოვინის პროსპექტზედ „როსიის" სასტუმროს პირდაპირ ფარდულში მოვაჭრეს ნოქარმა, ნახიჩევანის მაზრის მცხოვრებელმა იოსებ ნავასართოვმა განუცხადა პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულს, რომ 29 სექტემბერს, ღამის 1 საათზედ, ჩამთვლიმა ფარდულში, ამ დროს ვიღაც უცნობმა კაცმა მომპარა დაუკეტავ დახლის ყუთი, რომელშიაც 50 მან. მქონდა, და გაიქცა თეატრის ვიწრო ქუჩისაკენ. იმის ფეხის ხმაზედ გამომეღვიძა, დავინახე ყუთით ხელში „როსსიას" სასტუმროს კუთხეში, გამოვუდექი, მაგრამ ველარ დავეწიე, ქურდმა ფული ამოიღო და ყუთი „ლივადიის" სასტუმროსთან დააგდო, სახე ქურდისა არ დამინახავს და ვერც ვიცნობო. იმ ხუთი თუმნიდგან ერთი თუმანი ჩემი იყო, დანარჩენი ოთხი თუმანი-კი ერთმა ჩემმა ქვეყნელმა მომაბარაო. ქურდს პოლიცია დაეძებს.

⁂ ბ-ნ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „Русское Слово" გზას იკვლევს რუსეთშიაც. ამას წინედ ყაზანის ქალაქიდამ ერთ წიგნის მაღაზიას დაუბარებია სამოცი ცალი ზემოხსენებულის სახელმძღვანელოს პირველის და მეორე ნაწილისა და თხუთმეტი ცალი „Методика къ Русскому Слову"-სი. წიგნის მაღაზიის გამგე, სხვათა შორის, იწერება: „Выписываемъ пока для образца по рекомендаціи одного Инспектора Народныхъ Училищъ. Постараемся рекомендовать въ свою очередь Учителямъ Инородческихъ школъ и публиковать въ газетахъ".

## რუსეთი

რადგანაც სასურველად უცვნიათ სოფლებში დაარსებულ იქმნას გლეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, ამიტომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შესდგომია ასეთ საზოგადოებათათვის საერთო წესდების შემუშავებას.

# ფელეტონი

## ჩვენის თეატრის თავ-გადასავალი

(ჩემი ნახსოვნი)

(შემდეგი *)

ქართული მივიწყებული თეატრი ხუთ-ექვს წელიწადს გაახსენდა ქართველ საზოგადოებას და მოაყოლა ლაპარაკი წარმოდგენების გამართვაზე. მოლიტერატურე კაცები არაფერს სწერდნენ, სანამ ფურცელაძემ ხმა არ ამოიღო თავის წერილით იმავე 1861 წელს „ცისკრის" დეკემბრის ნომერში, რომელშიაც აცხადებდა, წარმოდგენიდამ 634 მანეთი შემოვიდა, თეატრის ხარჯად 154 მანეთი მივეცით და დანარჩენი 480 მან. გიმნაზიაში შევიტანეთ გიმნასტიკის მოსაწყობად და შეუძლებელ მოწაფეთა შესაწევრადაო.

მე ძალიან გულ-ნაკლულად დავრჩი ამისთანა ხარჯვაზე. კასსირს რომ ფული გამოვართვით ფურცელაძემ და მე, მაშინ გადავწყვიტეთ ფული შეგვენახა დიმიტრი ყიფიანთან და გვქონოდა წიგნების საბეჭდავად, ან სტამბის გასამართავად. ამაზე წინად გადაწყვეტილი არაფერი გვქონდა დაწვრილებით. ამ გამოურკვევლობის მიზეზით ბატონ ანტონს არაფერი ეთქვა ყიფიანისათვის და მას თავისებურად გადაეწყვიტა. აელო ჩვენ დაუკითხავად და გადაეცა დემენტიევისათვის. შემდეგ-კი ვნახეთ გიმნაზიის ეზოში ერთი მაღალი საგიმნასტიკო სვეტი და მაღალი კიბიანი ჩარჩო.

ამ პირველ წარმოდგენის გამარჯვებამ აღარ მოგვასვენა. ქართულ წარმოდგენების მართვის საღერღელი აგვეშალა. მოვისურვეთ მეორე წარმოდგენის გამართვა. ანტონ ფურცელაძემ, რომელიც „ცისკრის" რედაქციაში თანამშრომელი შეიქნა, ივანე კერესელიძეს გამოართვა ახალი დაწერილი პიესა ბარბარე ჯორჯაძისა „შური" და დიმიტრი ყიფიანს ახლად ნათარგმნი მოლიერის პიესა „ცოლის შერთვევინება." მოთამაშენი დარჩნენ იგინივე, ვინც პირველ წარმოდგენაში მონაწილეობდენ. მხოლოდ დიმიტრიმ მოისურვა „ცოლის შერთვევინებაში" გამოიყვანოს უსიტყვო როლებში დორიმენის პაჟებად თავის პატარა შვილები: ელენე და კოტე. უფროსი შვილი ნიკოლოზი გამოვიდა ცრუ ფილოსოფოს პანკრატის როლში. ეს ფაქტი ბევრს გვეუბნება დიმიტრის სიმპატიაზედ ქართულ სცენისადმი და აქ სიტყვას ძალა აღარა აქვს. ეს ორი პატარა ყმაწვილი რვა ცხრა წლისანი შემდეგ შეიქმნენ ქართული სცენის დამკვიდრების საქმეში მუდმივი მონაწილენი. ელენე,—ეს სათნოებით და პატიოსნებით დამშვენებული ქალი,—გამოდიოდა შემდეგ ხანებში ჩვენს უხასიათო და უაზრო ქალების მაგალითად და გამამხნევებლად. კოტე ყიფიანი დამამშვენებელი იყო ჩვენის მუდმივის სცენისა, ეს ყველამ იცის.

თებერვლის შუა რიცხვებში, ესე იგი პირველ წარმოდგენის სამის თვის შემდეგ, დანიშნული იყო ზემოხსენებული ორი პიესა. — საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, რასაც არ მოველოდით. მაინც ორი მესამედი ბილეთებისა გაიყიდა. მაგრამ უხეირო პიესის კარგმა თამაშობამაც, რასაკვირველია, არ იმოქმედა. მოლიერის პიესამ ცოტაოდე გვიშველა. მაყურებელი ხალხი არ იყო კმაყოფილი ჯორჯაძის პიესით, რომელიც წინადვე დაწუნებული იყო თვით მოთამაშეთაგან. მაგრამ კერესელიძის რჩევამ ანტონ ფურცელაძე დასძლია და ყმაწვილმა კაცებმაც უარი აღარა თქვეს. ეხათრებოდათ, მწერალი ქალის პიესა უნდა დავანახოთ საზოგადოებასაო.

შემდეგ ამისა სურვილი მაინც მუშაობდა, რომ ქართული წარმოდგენები არ შეწყვეტილიყო. მაგრამ მოსწავლე ყმაწვილების სავალდებულო საქმისაგან მოცდენა შეუძლებელი იყო. თითო წარმოდგენას ბევრი რეპეტიცია უნდებოდა. ამ შემთხვევაში კანცელარიებში მოსამსახურე ან თავისუფალი, უსაქმო ყმაწვილები გამოდგნენ. ისინი კისრულობდნენ თამაშობას, მაგრამ გასაჭირი გახდა უქალობა. ოჯახის ქალები ვერავინ გამოჩნდენ, სცენაზე გამოსვლა გაებედნათ.

დავიწყეთ აქეთ-იქით გამოკითხვა ძველის აქტრისებისა. როგორც იყო მიგვასწავლეს ტატიევისას, თუ ჯაფარიძისას (გვარი დამავიწყდა), ორბელიანთ ვიწრო ქუჩაში, რომელსაც ორბელიანთ აულს ეძახდნენ. აღარ მახსოვს, მარტო ვიყავი თუ ჩემთან იყო სხვაც ვინმე. ვიწრო ქუჩიდან უფრო ვიწრო ქუჩაბანდი შედიოდა და მეორე ეტაჟში ავედი. კაი მოზდილ ოთახს არ ეტყობოდა სიფაქიზე და დალაგება. ნააქტრისალი ახლა შუა ხანს მიტანებული იქნებოდა, სახე დაჭმუხნული ჰქონდა, მაგრამ ლოყები მწითური, თითქოს ნაღვინევი იყოსო, ან ფერი გადუკრავსო. მასთან ვნახე უფრო ხნიერი დედაკაცი, რომელიც მოსამსახურეს ჰგავდა. ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი, რომ წარმოდგენებსა ვმართავთ და ქალის როლისათვის გვინდა მივიწვიოთ.

— დიდი ხანია არ მითამაშნია და აღარც მინდა ვითამაშოო, რაღა დროს ჩემი თამაშობააო.

ასეთის კილოთი დაიწყო ლაპარაკი, თითქოს შორს იჭერსო და ვითომ უარს ამბობდეს. ცხადი იყო, რომ გამოვიდოდა სცენაზე, მაგრამ ამ კილოს ლაპარაკმა ისე არ შემაკრთო, როგორც იმისმა ხმამ. განწირულებამდის ჩავვარდი: ეს ხმა სცენიდამ გამოძახილი, სულ წაგვახდენდა ისე, როგორც მემთვრალე დედაკაცის ხმა. მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი და ეს უზრდელური ხმა, მაგრამ ჩვენ ყოფაში წყალ-წაღებულის ხავსსა ჰგავდა ეს ნააქტრისალი; მეტადრე რაკი მოხუცის დედაკაცის ამბავიც შევიტყეთ, რომ ისიც თურმე ნააქტრისალი ყოფილა. გვარად ვგონებ საკაძეს ირქმევდა აფიშებში და ნამდვილად-კი ის იყო უზნაძის ქვრივი, დედა კერესელიძის პირველის ცოლისა, რომელიც გათხოვებამდის სცენაზე თამაშობდა. დავუწყე ორსავ რჩევა, რომ ეთამაშნათ. მოხუციც უარზე იყო, თამაშობა ველარ შემიძლიაო და ამასთან ეშინოდა კერესელიძისა, დამიშლისო. ბოლოს როგორც იყო ტატიევისამ ყოყმანით გადასწყვიტა ვიფიქრებო, თუ თითო გამოსვლაზე მე ამდენს მომცემთ და ამ მოხუცს ამდენსაო. როგორც მახსოვს თავისთვის ითხოვა ოთხი, თუ ხუთი თუმანი და უზნაძისთვის ორი თუმანი. ამასთან მოგვთხოვა, უზნაძის გვარი აფიშაში სხვა უნდა ყოფილიყო.

მე არაფერი აღარ ვუთხარი ფულის შესახებ იმის მეტი, რომ მოველაპარაკები ჩემ ამხანაგებს და შეგატყობინებ პასუხს მეთქი.

თუმცა იმოდენის ფულის მიცემა გვეძვირებოდა, თან იმისიც გვეფიქრებოდა, ვაჭრობა რომ დავუწყოთ, ვაი თუ სულ ხელიდამ გავუშვათო. ამისთვის, არ მახსოვს გვარი, ნააქტრისალებს ნაცნობი შევუყენეთ შუაკაცად და ბოლოს კიდეც გამოვიდნენ სცენაზედ მესამე თუ მეოთხე წარმოდგენაზე, „მზის დაბნელებაში".

გაჭირება ქალების შოვნისა სადამდის მივიდა, ამის მაგალითად ჩემ

*) იხ. „ივერია". № 210.

— თამბაქოსა და კანაფის გასავრცელებლად, იმავე სამინისტროს აზრადა აქვს, იმ ადგილებში, სადაც ამ მცენარეულობის მოყვანას მისდევენ, დააწესოს ინსტრუქტორების ახალი თანამდებობანი. ამ ინსტრუქტორებს ჩაბარებული ექმნებათ თამბაქოსი და კანაფის პლანტაციები.

— აზრადა აქვთ 1900 წელს მოახდინონ აგრონომთა და სასოფლო-მეურნეობის მოღვაწეთა კრება. კრება მოხდება თებერვალში ქ. მოსკოვს.

— შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ იქმნას რკინის გზებზედ მოსამსახურე ფერშლების ყოფა-მდგომარეობა.

— გზათა სამინისტრომ ცირკულიარით აცნობა რკინის გზათა გამგეობათ, რომ ებრაელთ არ უნდა მიეცეთ რკინის გზებზედ საშტატო თანამდებობა.

— 21 სექტემბერს პეტერბურგის პედაგოგთა კრებას ლაპარაკი ჰქონდა რუსეთის საშუალო სკოლის (კლასიკურ გიმნაზიების, რეალურ სასწავლებლების, სამხედრო კორპუსის და საქალებო გიმნაზიების) ცვლილების შესახებ. პედაგოგები შეთანხმდნენ, რომ ჩვენებურს საშუალო სკოლას აქვს ერთი საზოგადო არსებითი ნაკლულევანება, და ეს ნაკლი ის არის, რომ ამ სკოლაში იმას კი არ ასწავლიან, რაც სასარგებლოა საზოგადო განათლების მისაღებად და უმაღლეს განათლებისათვის მოსამზადებლად, და არც ისე ასწავლიან, როგორც საქმის წარმატება მოითხოვსო. ეს ნაკლულევანება გამოწვეულია სწავლების დღევანდელ პროგრამით, რომელიც ავსებულია ზედ-მეტ, უსარგებლო მასალით და მოკლებულია ჭკუის შესამჩნევად განმავითარებელ მასალასა და ცოცხალ, უმთავრესად ეროვნულ ხასიათსაო.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამ ბოლოს დროს ფრანგული ჟურნალ-გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ გენერალის მერსიეს შესახებ, იმ მერსიესი, რომელმაც აგრე იხინა თავი დრეიფუსის საქმეში. ამას წინად სამხედრო მინისტრმა, გენერალმა გალიფემ გადასცა საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელს საკონტროლო უწყების ანგარიშები იმ ხარჯისა, რომელიც მადაგასკარის ექსპედიციას დასჭირდა. ამ ანგარიშების წყალობით გამოჰკვლეულ იქმნა მრავალ-გვარი უწესოებანი, ჩადენილი მერსიეს მიერ, რომელიც დასახელებულ ექსპედიციის დაწყების დროს სამხედრო მინისტრად იყო. ეს ამბავი პალატასაც მოხსენდება სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს და, როგორც ამბობენ, იგი დიდ კამათსა და ლაპარაკს გამოიწვევს. ზოგი გაზეთი იმასაც-კი ამბობს, რომ გენერალმა მერსიემ განგებ გააზვიადა დრეიფუსის საქმე, რათა საზოგადოების ყურადღება აექცია იმ უწესოებისა და ბოროტ-მოქმედებისაგან, რომელიც მან მადაგასკარის ექსპედიციის დროს ჩაიდინაო.

სალაპარაკოდ გამხდარან მერსიეს გარდა ორი იმისი შვილიც. ერთს ამათგანს მონაწილეობა მიუღია რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობაში, ხოლო მეორეს მოუკლავს მუშა-ზანგი. როგორც „მატინ"-ი იუწყება, საქმე ასე მომხდარა: აფრიკაში მყოფ მერსიეს (შვილის) ექსპედიციიდგან გაქცეულა ერთი ზანგი. ზანგი ნივთების საზიდად ჰყოლიათ ექსპედიციაში, მაგრამ აუტანია უზომო მუშაობა და სასტიკი მოპყრობა და ამის გამო გაქცეულა. ზანგი ინგლისის მიწა-წყალზედ გადასულა, მაგრამ ჯარის-კაცებს დაუჭერიათ და მერსიესთან მიუყვანიათ. მერსიეს არც აცივნია, არც დაცხია, დაუმიზნია რევოლვერი და იქვე მოუკლავს ზანგი. მერსიეს ყურადღება არ მიუქცევია არც ინგლისის ახალშენის გუბერნატორის თხოვნისათვის. ამ გუბერნატორს წერილით უთხოვნია, ნუ დასჯით ზანგს, უკანვე გადმოგვეცით, რადგანაც იგი ჩვენს მიწა-წყალზედ იქმნა შეპყრობილიო. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ მკვლელობას დიპლომატიური მოლაპარაკება-კი გამოუწვევია ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის შორის.

**ავსტრო-უნგრეთი.** როგორც ვუწყით, ავსტრიაში ბოლო მოეღო სამინისტრო კრიზისს და ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ ახალი კაბინეტი შესდგა. ამ ახალ კაბინეტს ამას წინად ჰქონია პირველი მოლაპარაკება და თათბირი. გადუწყვეტია უპირველეს ყოვლისა შეიმუშაოს კანონ-პროექტი ენათა შესახებ ბოგემიისა და მორავიისათვის, ე. ი. იმ პროვინციებისათვის, სადაც ჩეხები ცხოვრობენ. გრაფ კლარის, ამას გარდა, მოლაპარაკება ჰქონია ნემეცთა დასის მეთაურებთან იმას შესახებ, თუ როდის მოიწვიონ პარლამენტი. დაუდგენიათ, პარლამენტის მოსაწვევ დროთ 17 (5) ოქტომბერი დანიშნონ. ენათა შესახებ დადგენილებას პარლამენტის მოწვევამდე გააუქმებენ ზოგიერთ ნემეც დეპუტატებს აზრადა ჰქონიათ, პარლამენტში წინადადება შეიტანონ გრაფ ტუნის კაბინეტის სამართალში მიცემის შესახებ. ამის გამო მოლაპარაკებას ნემეცთა დეპუტატები უკვე შესდგომიან. ენათა შესახებ დადგენილების გაუქმების ამბავმა უკვე გამოიწვია ჩეხთა შორის უკმაყოფილება. ქ. პრაგის საბჭოს დაუდგენია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ განზრახვის განხორციელებას. პილზენში ამის გამოვე დემონსტრაციებიც-კი მომხდარა.

# დამაჯერდა

აღზრდა ხელოვნებაა, რომელიც გვასწავლის, რა არის ჩვენი მოვალეობა და როგორ უნდა შევიზღუდოთ ჩვენი თავისუფლება.

კარმენ სილვა.

***

წიგნს წიგნი იმიტომ ჰქვიან, რომ საკნობია და არა მარტო საკითხავი.

ლასურიძე

***

ყოველი დედაკაცი ჭიანურია, მხოლოდ ქამანჩა-დაა საჭირო და მაშინვე ყოველი მისი სამი შეიმკრის და ხმას გამოსცემს.

Z.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს რუსულს სასულიერო ჟურნალში სტატისტიკური ცნობებია მოყვანილი სხვა-და-სხვა სარწმუნოების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, მთელ დედამიწის ზურგზედ 1534 მილიონი სული მცხოვრებია. ეს ხალხი აღიარებს 1100 სხვა-და-სხვა სარწმუნოებას. ქრისტიანები სულ 490 მილიონია, ამათგან კათოლიკეთა სარწმუნოების აღმსარებელი არის—221 მილიონი, მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა—94 მილიონი, ხოლო პროტესტანტთა სარწმუნოებისა—165 მილიონი, 10 მილიონიც სექტანტები არიან. არა ქრისტიანენი არიან: ებრაელთა სარწმუნოებისა—7—8 მილიონი, მაჰმადიანნი—248 და ესრედ წოდებული კერპ-თაყვანის მცემელნი—858 მილიონი; ამათგან ბრამის სარწმუნოების აღმასრულებელი—148 მილიონი და ბუდდისა—510 მილიონი.

***

ამას წინად შვეიცარიაში სასამართლომ განიხილა ერთი საქმე, რომელმაც მთელ შვეიცარიაში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვინმე ფესლერს, 24 წლის ყმაწვილ კაცს, ხელობით ბუჰალტერს, თავისს ცოლის მოკვლა ჰბრალდებოდა. ფესლერს თავისი ცოლი, რომელიც ამ დროს ფეხ-მძიმედ ყოფილა, ერთ მაღალ კლდეზედ აუყვანია მოტყუებით, იქიდგან ხელი უკრავს და ძირს ტბაში გადაუგდია. სასამართლოში ფესლერი ამბობდა თურმე, რომ თვით ქალი მივიდა კლდის ნაპირას ყვავილის მოსაწყვეტად, ფეხი დაუსხლტა და ძირს ჩავარდაო. მაგრამ კლდის დათვალიერებამ დაარწმუნა ყველანი, რომ ჰკვათა მყოფელი კაცი არასოდეს თავისით იმ ადგილას არ მივიდოდა, სადაც ვითომ, ქმრის სიტყვით, ახალგაზდა ქალი მისულა ყვავილის მოსაწყვეტად. ამასთან მოწმეთა ჩვენებიდგანაც აღმოჩნდა თურმე, რომ ცოლ ქმარნი ვერა ყოფილან კეთილს განწყობილებაში, მუდამ ჩხუბი მოსდიოდათ თურმე და ფესლერი ხშირად ემუქრებოდა კიდეც ცოლს, მოგკლავო. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ფესლერი და 30 წლით კატორგაში გაგზავნა გარდაუწყვეტია იმისათვის.

***

ამერიკის შტატს ტეხასში იბეჭდება ამ ჟამად ერთი გაზეთი—„Times Reviw"-ი, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც უხელო კაცია. ეს კაცი ფეხებით მუშაობს და ყოველსავე საწერს ფეხებითვე ასრულებს. ხელები რედაქტორს დაბადებითვე არა ჰქონია. ამ ჟამად იგი 30 წლის კაცია. დედ-მამა ამ კაცს მეტად ღარიბი ჰყოლია და ყველაფერი თავისის შრომითა და მეცადინეობით შეუძენია. პატარაობაში დაუძლევია ყოველივე დაბრკოლება და ბრწყინვალეთ გაუთავებია როგორც საშუალო სასწავლებელი, აგრეთვე უნივერსიტეტი. სწავლის გათავების შემდეგ პირველ ხანს ვექილობდა, შემდეგ ვექილობას თავი გაანება, იყიდა „Times Review"-ი, რომელიც მანამდე უმნიშვნელო გაზეთი იყო, და ჟურნალისტიკას მიჰყო ხელი. დღეს ეს გაზეთი ერთ საუკეთესო და გავლენიან გაზეთად ითვლება ამერიკაში. ეხლანდელი რედაქტორი ჯერ სიყმაწვილეშივე სცდილობდა მიეჩვია ფეხები იმ საქმისათვის, რასაც ყველანი ხელით აკეთებენ და ბევრის მეცადინეობის შემდეგ ისე გაივარჯიშა ფეხის თითები, რომ მშვენივრადა სწერს, ჭადრაკს თამაშობს და ბევრ სხვა საქმესაც აკეთებს. ამას გარდა ეს უხელო რედაქტორი შესანიშნავი ორატორია; ხასიათით გულ კეთილი და მხიარული კაცია.

## გამოსადეგი ცნობა

როდესაც ადამიანს წვეთა ეცემა, ეს მოვლენა ეშველთვის გულის არევით და თავის ტრიალით ეწყება. ამიტომ იგრძნობს თუ არა ვინმე გულის რევას, განსაკუთრებით, თუ იგი ხანში შესული და სისხლ-ჭარბი კაცია, მაშინვე ქოშორი და საფეთქლები ცივის წყლით, ანუ ოდეკოლონით უნდა დაუ-

---

ნახულს მოვიხსენებ. აქეთ იქით მოკითხულობაში, კერესელიძის სტამბის ერთ ამწყობს მივმართე, იქნება იცნობდე ვისმე მეთქი. დამპირდა, ჩემ ცოლს მოველაპარაკებიო და რამდენისამე დღის შემდეგ მიმიყვანა. არ ვიცი მართლა ცოლი იყო, თუ სხვა. შევედით პატარა სოფლურ დარბაზში, რომელსაც დედაბოძები და გაშავებული ჭერი ჰქონდა. ორიოდ ყმაწვილი დადიოდა და შავად ჩაცმული დედა კაცი. მიმყვანმა მითხრა, აი, მოილაპარაკეთო, და თითონ გავიდა. ეს ამბავი მეუცხოვა. მაინც ვკითხე დედაკაცს, რომელიც არც ახალგაზდა იყო და არც შუახნისა.

— გეტყოდათ, რისთვისაც მოვედი, თეატრში მოხვალთ ითამაშოთ?

— ლეკური-კი ვიცი, მაგრამ ხალხში როგორ ვითამაშებო, მიპასუხა.

— არა, ლეკური კი არა, ლაპარაკი უნდა ისწავლოთ. კითხვა თუ არ იცით, მე ზეპირად გასწავლი და თქვენ მერე ისე ილაპარაკებთ,

დედაკაცი ცივ უარზე დადგა, მაგისი თავი არა მაქვს, ვერ ვიზამო. ბევრი ლაპარაკის შემდეგ მარტო ისა თქვა, რომ ლეკურს ვითამაშებ, სხვას კი ვერაფერსაო.. გაცრუებული გამოვედი.

მეორე შეხვედრაზე სტამბის ამწყობს ვუსაყვედურე. იმან მიპასუხა, რავქნა, ბევრს ვეჩიჩინე და არ დამიყვაო. მე მაინც არ მოვეშვი და ვთხოვე მოეკითხა სხვა ქალი, ეგებ ეშოვნა სცენაზე გამოსასვლელად. რამდენისამე დღის შემდეგ მახარა, ანჩისხატის უბანში ერთი ქალია, იქნება გამოვიდეს, მოელაპარაკეთო. მიმიყვანა კვირაცხოვლის ახლო ვიწრო ქუჩაში. იქ საზოგადოდ ძველებური სახლები იყო; მივადექით ერთ კარებს, რომელიც პირდაპირ ოთახში შეგვიყვანდათ. ოთახი ნახევრად თითქმის მიწაში იყო, როგორც სარდაფი და უფანჯრობით ისეთი ბნელი, რომ კარის პირდაპირ პატარა ტახტის მეტი ვერაფერი დაინახებოდა. კარებში დაგვხვდა გამხდარ-გაყვითლებული ახალგაზდა ქალი, გახუნებულ ყვავილიან ჩითის კაბით და ულეჩაქოთ; თავზე მარტო ხელცახოც მოხვეული. სიღარიბე, ჭუჭყი და უთაურობა ყველაფერს ემჩნეოდა.

— მობრძანდით, მობრძანდითო, შეგვიწვია ორნივე. თანმომყოლმა, როგორც წინად, თავი დაგვანება და წავიდა.

მე მოუყევი, აი ასე და ასე, თეატრს ვთამაშობთ და თქვენც გამოდით ითამაშეთ მეთქი.

— რა ვიცი, არაფერი ვიცი, როგორ უნდა ვითამაშოო. მიპასუხა.

— აი მე გასწავლი, წიგნი იცით?

— არა, არ ვიციო.

— არა უშავს რა. მე წავიკითხავ და შენ დაიხსომე, გაიზეპირე და მერე ზეპირადა თქვი, ბევრი გასაზეპირებელიც არაფერი იქნება. გასამრჯელოსაც მიიღებ, ღამეში ამდენს და ამდენს.

— იჰ, ვერ ვისწავლი. როგორ დავისწავლი?

— აი ვცადოთ. აბა მე წაგიკითხავ და მერე შენა თქვი:

— აბა.

ავიღე საცდელად პატარა სცენა გაყრიდამ, რომელშიაც ნინო და ყარდაშვერდი ლაპარაკობენ გათხოვებაზე.

— აბა ყური მიგდე და დაიხსომე: „იქნება მართლა დედაჩემმა იმ მაიმუნს მიმცეს"?

— არა გეთაყვა ვერ ვისწავლი.

— ნუ გეშინიან. კიდევ ვიტყვი, სანამ დაიხსომებდე. გაუმეორე და გაუმეორე რამდენჯერმე, მაგრამ გაჭირდა, ვერ გაიზეპირა.

მე არ მოვეშვი, ნუ შიშობ, ერთხელ ასე ვერ დაისწავლი, კიდევაც მოვალ და წაგიკითხავ მეთქი. აბა ერთიც კიდევა თქვი: იქნება მართლა დედაჩემმაო...

როგორც იყო გაიმეორა.

— ახლა მოახლე ფეხქვეშ იჯდება და გკითხავს: ვისა? შენ ნუ იტყვი. შენ პასუხი უნდა უთხრა: ა იმ სუდიის სეკლეტარსა.

— აიმ სუდის საკნეტარსა.

— საკნეტარს კი არა, სეკლეტარსა.

— იჰ, არა, არ შემიძლია, ვერ ვისწავლიო.

— კარგია დღეს კმაროდეს, კვლავ მოვალ და კიდევ გასწავლი, ნუ გეშინიან მეთქი. ასე ამ გვარად ორჯელ სამჯელ ვიარე და ვერ დავასწავლე ის ოთხიოდე სტრიქონი. მაინც არ ვეშვებოდი ამ ჭუჭყიანს და უტვინო დედაკაცსა, სანამ არ მივხვდი, რომ ის სულ სხვას მოელოდა მასთან მომსვლელისაგან და არა რაღაცა თეატრის სწავლებასა სისხლ აუჩქეფელ სტატუისას.

დაგვრჩა ის ორი ნააქტრისალი და მათის მონაწილეობით იმართებოდა წარმოდგენები. მაყურებელი საზოგადოება კმაყოფილი არ იყო, მაგრამ სხვა გზა არა გვქონდა.

ამ გვარად წელიწადში თითო ოროლა წარმოდგენა იმართებოდა და ისე მივიწყებული აღარ დარჩა ქართული სცენა, როგორც 1861 წლამდე იყო. მაშინდელ მონაწილეთა ღვაწლი სცენის შესახებ ის არის, რომ საზოგადოებას გაახსენეს ქართული სცენის საჭიროება და მიძინებისაგან გამოაფხიზლეს. კიდევ დიდ ხანს უნდა გაევლო, რომ მოყვარულთა სპექტაკლები გადაქცეულიყო სამუდამო სცენად, მუდმივის არტისტებით. 1861 წლიდგან 1879 წლამდე გაგრძელდა ეს ხანა, ესე იგი მთელი თვრამეტი წელიწადი. ეს სწორედ ღოღიალი იყო სასცენო ხელოვნებისა, მაგრამ ეს ღოღიალიც კი ითხოვდა შრომას, ზრუნვას და თავისუფალ დროს მონაწილეთაგან. ღოღიალი მაინც იყო და არა ძილი, უძრაობა, დავიწყება, უზრუნველობა, რაიცა უდრის უიმედობას, სიკვდილს.

ამ ღოღიალსაც თავისი ისტორია აქვს, ამ ღოღიალშიაც თან და თან ფეხის გადადგმა დაინახება. ამიტომ ზოგი რამ რაც მახსოვს, მოგახსენებ.

1864 წლიდგან 1868 წლამდე ვერაფერი შემიძლია გიამბოთ, (რუსეთში ვიყავი), როგორ მიდიოდა მოყვარულთა წარმოდგენები. მესმოდა, რომ კარგა თამაშობდნენ ზოგნი და მათში მამულოვი (ერთის სკოლის ოსტატი), სცენაზე გამოდიოდნენ ახლა ქალების როლში ძველი ნააქტრისები; მოთავეობდნენ ვგონებ ისევ ანტონ ფურცელაძე და კიდევ სხვები.

მახსოვს 1868 წელს, რომ სახელმწიფო თეატრში აღარ იმართებოდა ქართული სპექტაკლები, ამიტომ კერძო სახლებში ქირით იჭერდნენ დარბაზს. ახლა „დროების" თანამშრომლები უდგნენ თავში წარმოდგენების გამმართველთა.

თუმცა იქნება შემოკლებით იყოს, მაინც იმ დროის თეატრის ისტორიის ზოგი მასალა გაზეთ „დროებაში" მოიპოვება და ვრცლად ყველაფერზე ლაპარაკი თუ არის საჭირო, ისევ იმ მხრის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივად არ იბეჭდება ხოლმე რაიმე მოქმედების დროს, მაგრამ საცოდნელად კი საჭიროა. აი ამაზე მექნება საუბარი.

ზიდოთ, ნიშადურის სპირტი ასუნებინოთ და თავი სავარცხლით დავარცხნოთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი

**პეტერბურგი.** სენატმა გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გამამტყუნებელი გარდაწყვეტილება ძმ. სკიტსკის შესახებ დარღვეულია და საქმე კიევის სამოსამართლო პალატას უნდა გარდაეცეს ხელ-ახლად განსახილველად.

**ლონდონი.** სალამოს გაზეთებში დაბეჭდილია პრეტორიიდგან მოსული დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ ორშაბათს სალამოს ბრიტანიის აგენტს გარდაეცა დეპეშა; ამ დეპეშით თხოულობენ, რომ წესიერად იყოს გამოქვეყნებული, რომ ბრიტანიის ჯარი 48 საათის განმავლობაში საზღვრიდგან დაწეულ იქმნება. ყველა ჯარი, რომელიც სამხრეთ აფრიკაშია ბელიუმფონტენის კონფერენციის შემდეგ, უკანვე იქმნება გახმობილი.

**პარიჟი.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ გამოიძიეთ იმ მანიფესტაციის საქმე, რომელიც გაუმართავთ ვითომ რამდენსამე აფიცერს ლუბეს მონტელიმარში ყოფნის დროსაო. თუ ეს აფიცრები დამნაშავეებად იქმნენ ცნობილნი, მათ წინააღმდეგ მინისტრი სასტიკად დაიწყებს მოქმედებას.

**მეფქინგი.** ინგლისის ჯარი ჯეროვანს განკარგულებაშია, რადგან დღეს სალამოს იერიშს მოელის. ჯარი მთელ ღამეს შეიარაღებული იქნება. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ბურები ეცდებიან ყუმბარები დაუშინონ ქალაქ ებერდინსაო.

კაბინეთის წევრმა ლორდმა გერეფორსმა ამას წინად სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ დიპლომატიამ ყოველივე საშუალება იღონა სამშვიდობოდ, მაგრამ რადგან ტრანსვაალმა თავისი ულტიმატუმი წარმოგვიდგინა, იმედი მშვიდობიანობის დაცვისა მართლაც შერყეულიაო. ლორდის სიტყვის შემდეგ კრებამ დაადგინა ნდობა გამოუცხადოს მთავრობას; ამის პასუხად ლორდმა სთქვა, რომ პ.რასკევს კაბინეტი განიხილავს ტრანსვაალის წინადადებას, რომელიც ომს აჩქარებს და აუცილებელსა ჰხდისო.

**ლონდონი.** ჩემბერლენს მილლერისაგან დეპეშა მოუვიდა, სადაც მოხსენებულია პრეტორიაში მყოფ ბრიტანიის აგენტისაგან მიღებული დეპეშა. ბრიტანიის აგენტის დეპეშაში ნათქვამია, რომ სტატს-სეკრეტარის რეიცისაგან ნოტა მივიღე, რომლითაც ტრანსვაალის მთავრობა თხოულობს: 1) რომ ყოველი სადავო საქმე განწეს-რიგებულ იქმნას მედიატორეთა სამართლით, ანუ რომელიამე სხვა სამეგობრო საშუალებით, რომლის დახმარებასაც ინგლისმა და ტრანსვაალმა მორიგების თანახმად უნდა მიჰმართონ; 2) რომ ინგლისის ყოველივე სიმაგრე და სამხრეთ აფრიკაში ამ 1899 წლის ივნისიდგან მისული ჯარი გახმობილ იყვნენ უკანვე იმ ვადაზედ, რომელსაც მორიგება დაადგენს; ამასთან მორიგების ჟამს ტრანსვაალი თავს შეიმაგრებს და ინგლისის სამფლობელოს არ დაესხმის. თუ ეს წინადადება შეწყნარებულ იქმნა, ტრანსვაალის მთავრობა დათანხმდება შეიარაღებული ბურები დააბრუნოს საზღვრიდგან; 3) ინგლისის ჯარი, რომელიც ამ ჟამად ინგლისის სხვა სამფლობელოებში იმყოფება, სამხრეთ აფრიკაში არ უნდა ჩამოხდეს. ამ საკითხთა პასუხს ტრანსვაალის მთავრობა დაუყოვნებლადა თხოულობს 11 ოქტომბრამდე და დასძენს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თუ დანიშნულ ვადამდე კმასაყოფელი პასუხი არ მოგვივიდა, ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულ ვიქნებით ინგლისის მოქმედება ომის წესიერ გამოცხადებად ჩავთვალოთ და პასუხს აღარ ვაგებთ იმისას, რაც შეიძლება მოხდესო. აგრეთვე ომის გამოცხადებად ჩავთვლით, თუ დაწესებულ ვადის განმავლობაში ინგლისის ჯარი რესპუბლიკის საზღვრებისაკენ იქმნა გადაწეულიო. ამ წინადადებას ვრცელი წინასიტყვაობა უძღვის, რომელშიაც ნათქვამია, რომ დრო-და ბოლო მოეღოს ინგლისის უკანონო მოქმედებასა და ტრანსვაალის შინა საქმეებში ჩარევასაო.

**პარიჟი.** გრაფი მურავიოვი, რომელსაც თან დელკასსე ჰყავდა, დღეს შუადღისას პრეზიდენტმა ლუბემ ინახულა. ხუთშაბათს მურავიოვი ელისეის სასახლეში იქმნება სადილად.

**ნიუ-იორკი.** „Herald"-ს აუწყებენ ვაშინგტონიდგან, რომ გუშინ ინგლისმა შეერთებულს შტატებს მიჰმართა და სთხოვა, რომ თქვენ იკისრეთ, თუ ვინიცობაა ომი მოხდა ბრიტანიის ინტერესების წარმომადგენლობა სამხრეთ აფრიკაშიო. ამბობენ, რომ მაკ-კინლეი მზად არის აღუსრულოს ინგლისს ეს სურვილიო. ბრიტანიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, რომ ბრიტანიის ჯართან, რომელიც სამხრეთ აფრიკაში იმოქმედებს, ამერიკის აფიცერი იყოს. ეს საქმე მინდობილი აქვს ვენაში დაწესებულ ამერიკის საელჩოს სამხედრო წარმომადგენელს.

### დაგვიანებული შენიშვნა.

ბ-ნი ლალი ერთს თავისს წერილში „Неудачи нѣкоторыхъ потребительныхъ обществъ" (იხ. ამ წლის „Нов. Обоз." № 5364), მაჩხაანის დეპოს შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: „Было бы очень желательно, чтобы мѣстной властью были приняты мѣры къ скорѣйшему утвержденію устава названнаго депо".

საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო ბ-ნ ლალსაცა და აგრეთვე იმ მკითხველებს, რომლებიც ლალმა შეცდომაში შეიყვანა, რომ აგერ მეორე წელიწადია მაჩხაანის დეპოს წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან და ამ წესდების დაკვალად ჰმოქმედობს საზოგადოება.

მაჩხ. დეპოს ერთი წევრთაგანი

## განცხადებანი

## ისყიდება

### ორ-სართულიანი სახლი

დიდუბეში, შერემეტევის ქუჩაზედ, წყლის კრანის ახლო, № 23. ფასის შეტყობა იქვე შეიძლება, სახლის პატრონის ლაზარე კვაჭაძისაგან.

(5—155—4)

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ

ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
для начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА
ფასი 50 კ. (15—10)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ТИФЛИСИНЪ

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე"

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

(100—150—12)

1869 წლის ზაფხულამდის წარმოდგენებს მართავდნენ კერძო სახლებში, ხან აქ, ხან იქ, რაკი სახელმწიფო თეატრს დიდი ქირა უნდებოდა და ძნელადაც უთმობდა დირექცია თეატრის დარბაზს კერძო წარმოდგენისათვის, იმართებოდა ლიტერატურის გარშემო მომუშავეთაგან. მე მახსოვს წარმოდგენა მუხრანიანთ სახლებში მუხრანიანთ ქუჩაზე. თამაშობდნენ აკაკი წერეთლის პიესას „ცისკარში" ახლად დაბეჭდილს, „ძველსა და ახალს შუა". სხვათა შორის მთავარი როლები ჰქონდათ ავტორს და გიორგი წერეთელს. ქალის როლში იყო სომხის აქტრისა, იზმიროვის მეუღლე. რომელიც კარგ აქტრისად ითვლებოდა. სხვები არ მახსოვს, ვინ იყვნენ.

სომხის აქტიორები და აქტრისები ხანდახან მონაწილეობას იღებდნენ ქართულ პიესებში და ამით შეღავათი ეძლეოდა მოყვარულთა დასს. დამავიწყდა მომეხსენებინა წინად ნათქვამში რამე სომხურ წარმოდგენების შესახებ, რომელიც იმართებოდა ხოლმე ტფილისში და იმავე დროს დაიწყო გამოღვიძება, როგორც ქართულმა . თამაშობდნენ პირველ ხანებში სომხის სემინარიის მოწაფეები სემინარიის ძველ შენობაში კერძოდ თავიანთთვის და არა სახალხოდ. ქალების როლებს ისევე, როგორც ქართულში, ვაჟები ასრულებდნენ. მახსოვს ერთი პიესა „შუშანიკი", რომელიც დაწერილი იყო სემინარიის მასწავლებლის კარენიანცისაგან და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა შემდეგ ხანებში, როდესაც სახალხოდ თამაშობდნენ.

შემთხვევა მქონდა ამ პიესის პირველი თამაშობის ნახვისა. იმ დროს (1861 წ.) იყო ტფილისში ტერაკოფოვის პანსიონი, სადაც მე ზედამხედველად და ქართული ენის მასწავლებლად ვიყავი. ზედამხედველობა უნდა გამეწია მუდამ დღე სადილობამდის, კვირაში სამ ჯერ ნასადილევს და ღამე მეორე დღემდე; ამას გარდა ოთხი თუ ხუთი გაკვეთილები მიმეცა ქართულის ენისა. ჯამაგირი სულ ყველა ამისათვის თორმეტი მანეთი მქონდა.

ერთ სალამოს ყმაწვილებს გამაყოლეს სემინარიის თეატრში. ყმაწვილები უკან დაგვაყენებინეს მომაღლო ადგილს გალლერეასავით, იქვე ცოტა წინ სემინარიის მოწაფეები იყვნენ, გარეშე ხალხი არავინ სჩანდა. წინ სკამები იდგა ცარიელი. მალე ვნახეთ წვეტიან ბარტყულ კუნკულიანი ბერები შემოვიდნენ, მათში იყო ტფილისის ეპისკოპოზი. სამღვდელოებით ადგილები გაივსო. მათთან იყვნენ, რასაკვირველია, სემინარიის მასწავლებლები.

სამღვდელოების დასწრება სასიამოვნოდ მეჩვენა. მართალია შინაარსი პიესისა უფრო სასულიერო საგანს შეეხებოდა, წმინდა შუშანიკი იყო შიგ გიმოყვანილი, ბრძოლა ქრისტიანობისა და ცეცხლის თაყვანისმცემლობისა. სარწმუნოების წინააღმდეგი პიესაში არაფერი იპოვებოდა, რომ სამღვდელოების, მეტადრე ბერების, შეუფერებელი, საბრკოლებელი რამ ყოფილიყო. მაგრამ მაინც ორი რამ აქ სასიამოვნო იყო. ჯერ ერთი, საზოგადოდ დასწრება და მეორე ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში წმინდანების გამოყვანა სცენაზე აკრძალულია და არამც თუ წმინდანისა, თვით მღვდლის გამოყვანაც კი არ შეიძლება. ამ გვარად ვხედავთ, რომ სომხის ეკკლესია არ უკრძალავს ისე, როგორც დასავლეთის ეკკლესია ევროპაში წმიდა ნების და თვით ქრისტეს გამოყვანას სცენაზე. ამის გამო სომხურ ენაზე ბევრი პიესა არის ისტორიული, რომელშიაც წმინდანები ჰყავთ გამოყვანილი.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულისა და სომხურის სცენის მოძრაობა იწყება სწორედ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე წელს ყმაწვილ მოზარდ თაობაში, გიმნაზიასა და სომხის სემინარიაში. იქიდამ გადმოდის სახალხოდ საზოგადოებაში და ყველასათვის გამომჩვენებით.

რაკი ასეთი მოძრაობა დაიწყო და სახალხო შეიქმნა წარმოდგენების მართვა ქართველი და სომეხი მოთამაშენი ერთმანერთს ხვდებოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ, უფრო სომეხი არტისტები ქართულში, რადგანაც ქართული ენა იცოდნენ. ამათში, სხვათა შორის, იყო იზმიროვის მეუღლე და კარგა ხანს იღებდა მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში. მას გარდა შემდეგ ხანებში ვხედავდით ხანდახან ჩიმიშკიანს, ამერიკიანს და დღევანდლამდე ვხედავთ გედევანოვს (მირაღიანს). ვაჟებსავით სომხის ქალებიც იღებდნენ ხოლმე მონაწილეობას.

ერთ გარემოებაში იყო განსხვავება. სომხებმა მოახერხეს და მუდმივი დასი შეადგინეს, წარმოდგენებს ხშირად ჰმართავდნენ. ქართველები იშვიათად თამაშობდნენ და იმასაც მოყვარულები. რასაკვირველია, ქართველ მოთეატრეთ სურვილი ჰქონდათ მუდმივი სცენა გვქონოდა, მაგრამ გარემოება ხელს არ უწყობდა.

ნიკოლოზ ავალიშვილმა („მნათობის" რედაქტორმა) განიზრახა სამუდამო დასის შედგენა. მან რამდენიმე სტამბის ამწყობი და მათგვარი შეჰკრიბა, შეუდგა გამართვას ხან ძველ სომხის სემინარიის დარბაზში, რომელშიაც მოწყობილი იყო სცენა, ხან, როგორც მახსოვს, ნემეცების კლუბში. ეს იყო 1868—1869 წლებში. მინახავს ეს სპექტაკლები, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ უნდა ეთამაშნათ სრულიად უსწავლელ კაცებს, რომელთაც თეატრიც-კი არ ენახათ. არაფერი არტისტული არა ჩანდა ამ სპექტაკლებში, ეს იყო უბრალო თამაშობა და არა წარმოდგენა, რომელმაც ესტეტიკური შთაბეჭდილება უნდა იქონიოს მაყურებელზე, ილლუზია რეალურის მოქმედებისა, ტიპებისა და არა მასხარული ლაპარაკი. ხალხი ნაკლებად დადიოდა, ასე რომ ამისთანა დასი ვგონებ ხარჯსაც ძლივს გაუძლვებოდა. ერთ წარმოდგენის შემდეგ ისეთის ცუდის შთაბეჭდილებით გამოვედი თეატრიდამ, რომ სულ იმედი გადამიწყდა ამისთანა წარმოდგენებს რამე სარგებლობა მოეტანა ჩვენის სცენისათვის და საზოგადოების მოზიდვისათვის. დავწერე „დროებაში" შენიშვნა ცუდად წარმოდგენაზე. ამის გამო დიმიტრი ჯანაშვილმა გრძელის და გაანჩხლებულის წერილით „მნათობში" გამოილაშქრა ჩემზე და თითქმის მამულის ორგულობა შემომწამა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს მოწინააღმდეგე ვიყო ქართულის სცენისა.

ცუდად მიდიოდა საქმე და საზოგადოებაში არაფერი ინტერესი არ ღვიოდა ქართულის სცენისადმი. ავალიშვილის დასს არ შეეძლო ინტერესი როგორმე დაეცვა და ამის გამო დაიშალა. ბრალს ვერავინ დასდებს ავალიშვილს, რომ მას არ სდომებოდეს და არ ეშრომნოს ქართულის სცენის სიყვარულით. ეს მან შემდეგ ხანებშიაც დაამტკიცა, მაგრამ იმ ხანებში გარემოება და ნიადაგი არ იყო შემზადებული.

ეს გარემოება ქართულ სცენის განმტკიცების მოსურნეთ აფიქრებდა და სხვა და სხვა ღონის გამოძებნას ასწავლიდა.

პეტრე უმიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.